



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000012431611721

0900 ქ. ახმეტა ჩოლოფაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebul@gmail.com

№ 16

02 / ივნისი / 2021 წ.

## განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. 8. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ ფართის ა(ა)იპ „თუშების სათემო საბჭო“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების 54-ე, 56-ე მუხლების, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, სოფ. 8. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ ფართის ა(ა)იპ „თუშების სათემო საბჭო“-სათვის პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემა, საკადასტრო კოდი: 50.01.35.078
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი იჯარის ფორმით გასაცემი, სოფ. 8. ალვანში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ ფართის:
  - ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური 715.0 (შვიდას ხუთმეტი) ლარის ოდენობით.
  - ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 წელი.
- გ) სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები შემდეგი სახით:
  - ობიექტი გამოყენებულ იქნას პირდაპირი დანიშნულებით ზემო ალვნის სათემო სივრცის მოწყობისთვის.
  - საიკარო ფართს ჩაუტარდეს კაპიტალური რემონტი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ოთხი თვისა.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 დეკემბრის N43 განკარგულება-„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. 8. ალვანში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის II-სართულზე არსებული 61.93კვ.მ საიკარო ფართის

ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჭარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

4. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის შაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად



ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი